დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **მარიამ აბელიანი**

წევრი: **მედეა თუთბერიძე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **218083302**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

<u>მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
მუსიკის რეპეტიტორი	32	11	5
პიანისტ-აკომპანიატორი	48	5	3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 22 მარტის MES 9 23 0000329627 ბრძანების საფუძველზე, შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საგანმანათლებლო პროგრამების „პიანისტ-აკომპანიატორის“ და „მუსიკის რეპეტიტორის“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის ბ.ბ კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში, 2023 წლის 4 აპრილს.

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებას. ვიზიტამდე შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი #1), რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ განხორციელდა ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან დათვალიერდა გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ქვესტანდარტის შეფასებისას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ უპირატესად ყურადღება გამახვილდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფაქტებზე და მიმდინარე სამუშაო პროცესებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

კოლეჯში 2022 წლის 11,12,13 ოქტომბერს განხორციელდა რეავტორიზაციის ვიზიტი, რა დროსაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის ფარგლებში, გაიცა გარკვეული რეკომენდაციები, მათ შორის:

ინდიკატორი 2.1.1.1. *დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების დამატების შესახებ მიზანშეწონილობის დოკუმენტი არის ზოგადი ხასიათის, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება და ასახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია, დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია. ასევე, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ზემოაღნიშნული კოლეჯს დაეხმარება როგორც არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლის, ისე სამომავლოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას.*
- **რეკომენდაციის შესრულების მიზნით,** დაწესებულებამ შეიმუშავა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი - „სსიპ ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთების მეთოდოლოგია.“ დოკუმენტში აღწერილია, თუ რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს მიზანშეწონილობა, მათ შორის, აღნიშნულია კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობის განსაზღვრის საჭიროება და მნიშვნელობა დაწესებულების მიერ, პროგრამების დამატების დაგეგმვის ეტაპზე. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სწორედ ამ მეთოდოლოგიით იხელმძღვანელებენ ახალი თუ უკვე არსებული პროგრამების მიზანშეწონილობის განსაზღვრისას.

ინდიკატორი 2.2.1.3. *კომპონენტი - „პიანისტ-აკომპანიატორის“ და „მუსიკის რეპეტიტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მოდულში „გაცნობითი პრაქტიკა სამუსიკო ხელოვნებაში“ განმახორციელებელ პირად განსაზღვრულია არაკვალიფიციური პირი (იურისტი), მაშინ როცა დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის განხორციელების უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება. შედეგად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული მოდულის განმახორციელებლად განსაზღვრონ კვალიფიციური პირი* - **რეკომენდაციის შესრულების მიზნით,** კოლეჯმა გააფორმა ხელშეკრულებები შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „მუსიკის რეპეტიტორი“ და „პიანისტ-აკომპანიატორი“ - განმახორციელებლის დანართებში შეიტანა ცვლილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 2.3.1.1. *კომპონენტი - დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს პროგრამის დაგეგმვა/შემუშავებას, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობას და პროგრამებში ცვლილებების ინიცირებას, ანუ არის როგორც შემსრულებელი, ასევე მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირიც, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, შესაბამისად ის ვერ განახორციელებს პროგრამების ობიექტურად შეფასებას და განვითარებას. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებში აღმოიფხვრას ინტერესთა კონფლიქტი* - **რეკომენდაციის შესრულების მიზნით,** დაწესებულებამ გადაამუშავა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები. ამ უკანასკნელს ჩამოშორდა ყველა ის ფუნქცია და იმ პროცესში მონაწილეობა, რომელიც იწვევდა ინტერესთა კონფლიქტს. ამ ეტაპზე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასება, მონიტორინგი, რეკომენდაციების შემუშავება, რაც საერთო ჯამში აერთიანებს ხარისხის მართვის ციკლს: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება.

ინდიკატორი 2.4.2.1. *დაწესებულების პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი არ მოიცავს ინფორმაციას: პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობის, განმეორებითი შეფასების და შედეგების გასაჩივრების ვადებთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მარეგულირებლით განისაზღვროს სტუდენტთა შეფასების, განმეორებითი შეფასების, შედეგების გასაჩივრებისა და შეფასების შედეგების გაცნობის ვადებთან დაკავშირებით* - **რეკომენდაციის შესრულების მიზნით,** დაწესებულებამ „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში“ დააზუსტა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობის, განმეორებითი შეფასების და შედეგების გასაჩივრების ვადები.

ინდიკატორი 2.4.2.3. *კომპონენტი - დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, ფაქტობრივი გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ არ ხორციელდება მათი აღრიცხვა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეიმუშაოს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვის წესი და ამის შესაბამისად განახორციელოს მათი აღრიცხვა* - **რეკომენდაციის შესრულების მიზნით,** დაწესებულებამ „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში“ შეიტანა ინფორმაცია მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალის წარმოებაზე, ასევე გაწერა მოთხოვნები მტკიცებულებების მიმართ. დაწესებულებამ დაიწყო ზემოაღნიშნული ჟურნალის წარმოებაც და მტკიცებულებების აღრიცხვა მის მიერვე შემუშავებული წესის თანახმად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IX. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

XI. სტანდარტების შეფასება

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მუსიკის რეპეტიტორი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში/ Higher Vocational Qualification in Music Art

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0215
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია სსიპ ქ. გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 29 ივლისის ბრძანებით N1/22 ბოლო ცვლილება: 14.11.2022 N1/100
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. გორი, სამეფოს ქ. #17
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	32
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	108

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	138

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	---	**სრული შესაბამისობა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულება განხორციელების ადგილზე (ქ. გორი, სამეფოს #17) ახორციელებს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, რისთვისაც აქვს A, B და C სასწავლო გარემოები. 1 B ტიპის აუდიტორია (8 პროფესიულ სტუდენტზე), 13 A ტიპის აუდიტორია (8 პროფესიულ სტუდენტზე). დაწესებულებას გამოყოფილი აქვს, ასევე 4 C გარემო, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი, რომელიც განკუთვნილია როგორც ჯგუფური ისე ინდივიდუალური მეცადინეობებისთვის.

- A გარემოში განთავსებულია - მაგიდა და სკამი 8 პროფესიული სტუდენტებისთვის, დაფა, პრინტერი, პროექტორი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი.
- B გარემოში განთავსებულია მაგიდა, სკამი და კომპიუტერების კომპლექტი 8 პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი.
- C გარემოში განთავსებულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნებისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს 14 როიალი, 7 პიანინო, ვიოლინო, ჩელო, კონტრაბასი, არფა და 3 სასულე ინსტრუმენტი.

დაწესებულებამ წარმოადგინა არსებული მატერიალური რესურსის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტები და მიღება-ჩაბარების აქტები. პროგრამაზე ჯამური ქვოტა შეადგენს 32-ს. წელიწადში კოლეჯი გეგმავს 16 პროფესიული სტუდენტის მიღებას 2 ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში 8 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

მოდულის - „საწარმოო პრაქტიკა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს იურიდიული დოკუმენტი მემორანდუმის სახით ა(ა)იპ- გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოებთან. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტომ კოლეჯის სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად შეარჩია ქალაქ გორის #3 (გორგასლის ქუჩა #6) და #10 (სოხუმის ქუჩა #5) სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებები, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტომ - გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა (სამეფოს ქუჩა #22). მემორანდუმების თანახმად, სააგენტოები უზრუნველყოფენ პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას. თითოეულ ობიექტს შეუძლია მიიღოს 8 პროფესიული სტუდენტი. პრაქტიკის უშუალოდ განხორციელებისას კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს ა(ა)იპ- გორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს- ქ. გორის #10 (სოხუმის ქუჩა #5) სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტები იმყოფებოდნენ პრაქტიკის ობიექტზე -ქ. გორის #10 (სოხუმის ქუჩა #5) სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში, სადაც ამ ეტაპისთვის მუსიკის რეპეტიტორის 4 პროფესიული სტუდენტი გადის პრაქტიკას. განხორციელდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან, რომლებმაც ისაუბრეს კვალიფიციური კადრების მნიშვნელობაზე და საჭიროებებზე, ისინი ხელს უწყობენ დარგის განვითარებაზე და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის მაღალ დონეზე განხორციელებას. ვიზიტის პერიოდში, პრაქტიკის ობიექტზე იმყოფებოდა ოთხივე სტუდენტი. ექსპერტებმა ნახეს სამუშაო პროცესი, სადაც ჩართულნი იყვნენ სტუდენტებიც. გაესაუბრნენ სტუდენტებსა და პრაქტიკის ხელმძღვანელს. სტუდენტებმა ისაუბრეს იმ აქტივობებზე, რაშიც ჩართულები არიან, კმაყოფილება გამოთქვეს პრაქტიკის ობიექტით, არსებული რესურსით. ასევე, წარმოადგინეს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალები, სადაც აღწერილია მათ მიერ შესრულებული სამუშაოები. ჩანაწერების სისწორეს ამოწმებს და ადასტურებს პრაქტიკის ხელმძღვანელი ხელმოწერით.

ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა ინტერვიუ „მუსიკის რეპეტიტორისა“ და „პიანისტ-აკომპანიატორის“ საგანმანათლებლო პროგრამების 2021 და 2022 წლების მიღების პროფესიულ სტუდენტებთანაც (სულ 12), რესურსებზე წვდომის კონტექსტში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით და ტექნიკური ბაზით. ასევე, დაადასტურეს, რომ პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსები სრულიად ხელმისაწვდომია მათთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მუსიკის რეპეტიტორი“ განხორციელებაში ჩართულია - 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, ზოგადი მოდულები - 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი და დარგის - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულებამ, დანართის სახით, წარმოადგინა პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია, ასევე, წარმოადგინა მასწავლებელთა დატვირთვის ფორმა. ექსპერტებმა შეისწავლეს მასწავლებლების დატვირთვა, მათ შორის იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლებიც პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასაც ახორციელებენ. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება პროფესიული მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კვირეული დატვირთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. დაწესებულებაში დამტკიცებულია სსიპ ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული განათლება/უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიით მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება. წინა ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტების მხრიდან გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, ვინაიდან მოდულში „გაცნობითი პრაქტიკა - მუსიკის რეპეტიტორი“ განმახორციელებელ პირად განსაზღვრული იყო არაკვალიფიციური პირი (იურისტი), მაშინ როცა დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის განხორციელების უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის მინიმუმ სამ წლიანი გამოცდილება. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია. გაფორმდა ხელშეკრულებები შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიულ მასწავლებლებთან და „მუსიკის რეპეტიტორის“ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლის დანართში შევიდა ცვლილება.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საგანმანათლებლო პროგრამის - „მუსიკის რეპეტიტორის“ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, მათ შორის, მოდულის - „გაცნობითი პრაქტიკა - მუსიკის რეპეტიტორი“ განმახორციელებელი პირის პირადი საქმე (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე განხორციელდა გასაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (სულ 10), მათ შორის მოდულის - „გაცნობითი პრაქტიკა-მუსიკის რეპეტიტორი“ მასწავლებელთან. დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიული კომპეტენცია. დაწესებულების წარმომადგენლებთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუირებით ასევე, დასტურდება, რომ საჭიროების გათვალისწინებით, სწავლების მეთოდების და შეფასების საკითხებში პროფესიულ მასწავლებლებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უტარდებათ როგორც გარე, ასევე შიდა კონსულტაციები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმატში.

ამასთან დაკავშირებით, მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ 2022 წლის 2-4 დეკემბერს პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებით, პროფესიულ მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, რომლებზეც განხილული იყო შემდეგი საკითხები: *1. სტუდენტებზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება და ანალიზი; 2. კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა; 3. სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება; 4. სტუდენტთა შეფასების პროცესი, შეფასების შედეგების დოკუმენტირება, ანალიზი, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა.* ტრენინგში მონაწილეობა მიიღო „პიანისტ-აკომპანიატორისა“ და „მუსიკის რეპეტიტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხუთმა მასწავლებელმა. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებლების შეხვედრის ოქმი, რომლის მიზანიც იყო ზემოაღნიშნულ ტრენინგზე მიღებული ინფორმაციის გაზიარება დანარჩენი მასწავლებლებისთვის.
მასწავლებლების შეფასების კონტექსტში, დაწესებულებამ წარმოადგინა, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სალექციო პროცესზე დასწრების ჩანაწერები, მასწავლებლისა და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით. ჩანაწერები მოიცავს როგორც სალექციო პროცესის აღწერას, ისე ხელმძღვანელის რეკომენდაციებს კონკრეტულ მოდულთან და მასწავლებელთან დაკავშირებით.

მასწავლებლების შეფასების ნაწილში, ასევე, განხორციელდა ინტერვიუ „მუსიკის რეპეტიტორის“ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს გამოკითხვებში მონაწილეობა და კმაყოფილება გამოთქვეს მასწავლებლების კომპეტენციებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. სსიპ ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, როლი და ფუნქციები. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით. მას ევალება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა, ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა. აღნიშნულის შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით.

ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, რომელმაც ისაუბრა მის როლსა და ფუნქციებზე. აღნიშნა, რომ როგორც დარგის წარმომადგენელი, განვითარების კუთხით დარგობრივ შეხვედრებს მართავს მასწავლებლებთან, ხვდება პროფესიულ სტუდენტებს, მუშაობს პროგრამის განვითარებაზე.

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმძღვანელობითი ფუნქციების შესრულების კონტექსტში, დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სალექციო პროცესზე დასწრების ჩანაწერები მასწავლებლისა და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით. ჩანაწერები მოიცავს როგორც სალექციო პროცესის აღწერას, ისე ხელმძღვანელის რეკომენდაციებს კონკრეტულ მოდულთან და მასწავლებელთან დაკავშირებით. წარმოადგინა, ასევე, პროფესიულ მასწავლებლებთან შეხვედრის ოქმები, სადაც განხილულია პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრის ოქმები, სადაც პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სასწავლო გრაფიკზე, პროფესიულ მასწავლებლებზე, მოდულებზე და სხვ. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელი შეხვდა 2022 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს და გააცნო შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის პროექტი.

გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა „მუსიკის რეპეტიტორისა“ და „პიანისტ-აკომპანიატორის“ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების მიერ უნარების სააგენტოში გაგზავნილი ინიცირების წერილი, რომლის ერთ-ერთი საკითხი მოიცავდა „მუსიკის რეპეტიტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ახალი მოდულის - „ხმის დაყენება“ დამატებას. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუირებისას ისაუბრა ინიცირების მიზანშეწონილობაზე. დაწესებულების დარგის წარმომადგენლების შეფასებით, პროგრამაში შემავალი ისეთი მოდულები, როგორიცაა „საწარმოო პრაქტიკა“, „პრაქტიკული პროექტი“, „შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება“, ითვალისწინებს სტუდენტების მიერ სასიმღერო ნომრების შესწავლას მოსწავლეებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ ვოკალური ხელოვნების დაუფლების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, ისაუბრა პროფესიული უნარების სააგენტოში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, პროფესიული კვალიფიკაციის განვითარებასთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდა. სამუშაო შეხვედრაზე განხილული იყო ის შინაარსობრივი და ტექნიკური უზუსტობები, რომელიც გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებსა და მოდულებში. შეხვედრაზე განიხილეს, ასევე, სამომავლო ცვლილებები ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში საკონტაქტო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დამოუკიდებელი საათების გადანაწილების შესაძლებლობა მასწავლებლებისთვის; სტანდარტულ ჩანაწერებში კრედიტების რაოდენობის გრაფის დამატება და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, როგორც ელექტრონული ისე ბეჭდური. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით (ჩატვირთულია ბიბლიოთეკარის კომპიუტერში, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის მიწოდებას) და მატერიალური სახით. მატერიალური სახის რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio". ასევე, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს საკმაოდ მდიდარი ფონოთეკა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით.
ექსპერტები გაესაუბრნენ სტუდენტებს სასწავლო რესურსებით კმაყოფილების და ხელმისაწვდომობის კონტექსტში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მისაღებია მათთვის არსებული სასწავლო რესურსი. ასევე, ისაუბრეს, რომ შეუძლიათ ბიბლიოთეკიდან ნებისმიერ დროს გამოიტანონ მათთვის სასურველი წიგნი ან ნახონ ელექტრონულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი (მუხლი 18) განსაზღვრავს სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტი. დაწესებულების მხრიდან დასტურდება მზაობა, რომ რეალური საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასწავლო რესურსის შინაარსობრივი და ვიზუალური ადაპტირება.

კოლეჯს საანგარიშო პერიოდში ჰყავდა ინდივიდუალური გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები, რომლის საჭიროებაც წარმოშვა სტუდენტის ერთი პროგრამიდან მეორე პროგრამაზე შიდა მობილობით გადასვლამ. დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შემუშავებული ინდივიდუალური გეგმა, სტუდენტის მონაწილეობა გეგმის შემუშავებაში, გეგმის განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. კოლეჯმა „მუსიკის რეპეტიტორის“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოადგინა პროგრამის ერთი ციკლის დასრულების ფაქტობრივი ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 167 096 ლარი, ხარჯების ნაწილში - 167 096 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება – 70 884 ლარი; კონცერტმაისტერთა შრომის ანაზღაურება – 13 300 ლარი და სხვა ხარჯებს - 82 912 ლარი. რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
2. პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით - მემორანდუმი ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან (26.06.2019), ხელშეკრულება ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან (28.09.2022, შეთანხმება: 04.04.2023) მემორანდუმი ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოსთან (26.06.2019), ხელშეკრულება ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოსთან (18.04.2023)
4. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხელმძღვანელობითი ფუნქციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. სტუდენტების და მასწავლებლების გამოკითხვის კითხვარები და გამოკითხვის შედეგები;
6. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივლისის #1/22ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/03, 13.01.2023წ.) დამტკიცებული სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
7. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (შესყიდვის დოკუმენტები, მიღება-ჩაბარების აქტები);
8. მასწავლებლების სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
9. ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია; პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდ. სასწავლო გეგმა;
10. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის #1/42 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/101 15.11.2022წ.) დამტკიცებული სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი;
11. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
12. პროგრამის ბიუჯეტი;
13. განმახორციელებლებთან, პარტნიორ კომპანიებთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
14. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	**პიანისტ-აკომპანიატორი**
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში/ Higher Vocational Qualification in Music Art
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0215
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია სსიპ ქ. გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 29 ივლისის ბრძანებით N1/22 ბოლო ცვლილება: 14.11.2022 N1/100
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. გორი, სამეფოს ქ. #17
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	48
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	174

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	---	**სრული შესაბამისობა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულება განხორციელების ადგილზე (ქ. გორი, სამეფოს #17) ახორციელებს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, რისთვისაც აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

A, B და C სასწავლო გარემოები. 1 B ტიპის აუდიტორია (8 პროფესიულ სტუდენტზე), 13 A ტიპის აუდიტორია (8 პროფესიულ სტუდენტზე). დაწესებულებას გამოყოფილი აქვს, ასევე 4 C გარემო, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი, რომელიც განკუთვნილია როგორც ჯგუფური ისე ინდივიდუალური მეცადინეობებისთვის.

- A გარემოში განთავსებულია - მაგიდა და სკამი 8 პროფესიული სტუდენტებისთვის, დაფა, პრინტერი, პროექტორი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი.
- B გარემოში განთავსებულია მაგიდა, სკამი და კომპიუტერების კომპლექტი 8 პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი.
- C გარემოში განთავსებულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნებისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს 14 როიალი, 7 პიანინო, ვიოლინო, ჩელო, კონტრაბასი, არფა და 3 სასულე ინსტრუმენტი.

დაწესებულებამ წარმოადგინა არსებული მატერიალური რესურსის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტები და მიღება-ჩაბარების აქტები. პროგრამაზე ჯამური ქვოტა შეადგენს 48-ს. წელიწადში კოლეჯი გეგმავს 16 პროფესიული სტუდენტის მიღებას 2 ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში 8 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

მოდულის - „საწარმოო პრაქტიკა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს იურიდიული დოკუმენტი მემორანდუმის სახით ა(ა)იპ- გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოებთან. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტომ კოლეჯის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად შეარჩია ქალაქ გორის #3 (გორგასლის ქუჩა #6) და #10 (სოხუმის ქუჩა #5) სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებები, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტომ - გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა (სამეფოს ქუჩა #22). მემორანდუმების თანახმად, სააგენტოები უზრუნველყოფენ პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას. თითოეულ ობიექტს შეუძლია მიიღოს 8 პროფესიული სტუდენტი. გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტომ კოლეჯის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად შეარჩია გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა (სამეფოს ქუჩა #22). პრაქტიკის უშუალოდ განხორციელებისას კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს-გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს - გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლას შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. განხორციელდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან, რომლებმაც ისაუბრეს კვალიფიციური კადრების მნიშვნელობაზე და საჭიროებებზე, ისინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ხელს უწყობენ დარგის განვითარებაზე და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის მაღალ დონეზე განხორციელებას. ასევე, დაადასტურეს თანამშრომლობისთვის მზაობა სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტში ჩართვაში.
ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა ინტერვიუ „მუსიკის რეპეტიტორისა“ და „პიანისტ-აკომპანიატორის“ საგანმანათლებლო პროგრამების 2021 და 2022 წლების პროფესიულ სტუდენტებთანაც (სულ 12), რესურსებზე წვდომის კონტექსტში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით და ტექნიკური ბაზით. ასევე, დაადასტურეს, რომ პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსები სრულიად ხელმისაწვდომია მათთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „პიანისტ-აკომპანიატორი“ განხორციელებაში ჩართულია - 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის ზოგადი მოდულები - 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი და დარგის - 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულებამ, დანართის სახით, წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია, ასევე, წარმოადგინა მასწავლებელთა დატვირთვის ფორმა. ექსპერტებმა შეისწავლეს მასწავლებლების დატვირთვა, მათ შორის იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლებიც პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასაც ახორციელებენ. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. დაწესებულებაში დამტკიცებულია სსიპ ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული განათლება/უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიით მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება. წინა ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტების მხრიდან გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, ვინაიდან მოდულში „გაცნობითი პრაქტიკა - პიანისტ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აკომპანიატორი“ განმახორციელებელ პირად განსაზღვრული იყო არაკვალიფიციური პირი (იურისტი), მაშინ როცა დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის განხორციელების უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის მინიმუმ სამ წლიანი გამოცდილება. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია. გაფორმდა ხელშეკრულებები შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიულ მასწავლებლებთან და „მუსიკის რეპეტიტორის“ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლის დანართში შევიდა ცვლილება.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე განხორციელდა გასაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (სულ 10), მათ შორის მოდულის - „გაცნობითი პრაქტიკა - პიანისტ-აკომპანიატორი“ მასწავლებელთან. დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიული კომპეტენცია. დაწესებულების წარმომადგენლებთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუირებით დასტურდება, რომ საჭიროების გათვალისწინებით, სწავლების მეთოდების და შეფასების საკითხებში პროფესიულ მასწავლებლებს უტარდებათ როგორც გარე, ასევე შიდა კონსულტაციები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმატში.

ამასთან დაკავშირებით, მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ 2022 წლის 2-4 დეკემბერს პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებით, პროფესიულ მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, რომლებზეც განხილული იყო შემდეგი საკითხები: *1. სტუდენტებზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება და ანალიზი; 2. კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა; 3. სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება; 4. სტუდენტთა შეფასების პროცესი, შეფასების შედეგების დოკუმენტირება, ანალიზი, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა.* ტრენინგში მონაწილეობა მიიღო „პიანისტ-აკომპანიატორისა“ და „მუსიკის რეპეტიტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხუთმა მასწავლებელმა. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებლების შეხვედრის ოქმი, რომლის მიზანიც იყო ზემოაღნიშნულ ტრენინგზე მიღებული ინფორმაციის გაზიარება დანარჩენი მასწავლებლებისთვის.

მასწავლებლების შეფასების კონტექსტში, დაწესებულებამ წარმოადგინა, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სალექციო პროცესზე დასწრების ჩანაწერები მასწავლებლისა და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით. ჩანაწერები მოიცავს როგორც სალექციო პროცესის აღწერას, ისე ხელმძღვანელის რეკომენდაციებს კონკრეტულ მოდულთან და მასწავლებელთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მასწავლებლების შეფასების ნაწილში, ასევე, განხორციელდა ინტერვიუ „პიანისტ-აკომპანიატორის“საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს გამოკითხვებში მონაწილეობა და კმაყოფილება გამოთქვეს მასწავლებლების კომპეტენციებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. სსიპ ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, როლი და ფუნქციები. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით. მას ევალება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა, ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა. აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით.

ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, რომელმაც ისაუბრა მის როლსა და ფუნქციებზე. აღნიშნა, რომ როგორც დარგის წარმომადგენელი, განვითარების კუთხით დარგობრივ შეხვედრებს მართავს მასწავლებლებთან, ხვდება პროფესიულ სტუდენტებს, მუშაობს პროგრამის განვითარებაზე.

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმძღვანელობითი ფუნქციების შესრულების კონტექსტში, დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სალექციო პროცესზე დასწრების ჩანაწერები მასწავლებლისა და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით. ჩანაწერები მოიცავს როგორც სალექციო პროცესის აღწერას, ისე ხელმძღვანელის რეკომენდაციებს კონკრეტულ მოდულთან და მასწავლებელთან დაკავშირებით. წარმოადგინა, ასევე, პროფესიულ მასწავლებლებთან შეხვედრის ოქმები, სადაც განხილულია პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრის ოქმები, სადაც პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სასწავლო გრაფიკზე, პროფესიულ მასწავლებლებზე, მოდულებზე და სხვ. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელი შეხვდა 2022 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს და გააცნო შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის პროექტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა „მუსიკის რეპეტიტორისა“ და „პიანისტ-აკომპანიატორის“ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების მიერ უნარების სააგენტოში გაგზავნილი ინიცირების წერილი. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუირებისას ისაუბრა პროფესიული უნარების სააგენტოში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, პროფესიული კვალიფიკაციის განვითარებასთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდა. სამუშაო შეხვედრაზე განხილული იყო ის შინაარსობრივი და ტექნიკური უზუსტობები, რომელიც გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებსა და მოდულებში. შეხვედრაზე განიხილეს, ასევე, სამომავლო ცვლილებები ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილების შესაძლებლობა მასწავლებლებისთვის; სტანდარტულ ჩანაწერებში კრედიტების რაოდენობის გრაფის დამატება და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, როგორც ელექტრონული ისე ბეჭდური. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით (ჩატვირთულია ბიბლიოთეკარის კომპიუტერში, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის მიწოდებას) და მატერიალური სახით. მატერიალური სახის რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio”. ასევე, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს საკმაოდ მდიდარი ფონოთეკა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით.

ექსპერტები გაესაუბრნენ სტუდენტებს სასწავლო რესურსებით კმაყოფილების და ხელმისაწვდომობის კონტექსტში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მისაღებია მათთვის არსებული სასწავლო რესურსი. ასევე, ისაუბრეს, რომ შეუძლიათ ბიბლიოთეკიდან ნებისმიერ დროს გამოიტანონ მათთვის სასურველი წიგნი ან ნახონ ელექტრონულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი (მუხლი 18) განსაზღვრავს სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტი. დაწესებულების მხრიდან დასტურდება მზაობა, რომ რეალური საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასწავლო რესურსის შინაარსობრივი და ვიზუალური ადაპტირება.

კოლეჯს საანგარიშო პერიოდში ჰყავდა ინდივიდუალური გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები, რომლის საჭიროებაც წარმოშვა სტუდენტის ერთი პროგრამიდან მეორე პროგრამაზე შიდა მობილობით გადასვლამ. დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შემუშავებული ინდივიდუალური გეგმა, სტუდენტის მონაწილეობა გეგმის შემუშავებაში, გეგმის განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. კოლეჯმა "პიანისტ-აკომპანიატორის" საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოადგინა პროგრამის ერთი ციკლის დასრულების ფაქტობრივი ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 170 656 ლარი, ხარჯების ნაწილში - 170 656 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება – 75 006 ლარი; კონცერტმაისტერთა შრომის ანაზღაურება – 23 060 ლარი და სხვა ხარჯებს - 72 590 ლარი. რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერულად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
2. პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
3. პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით - მემორანდუმი ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან (26.06.2019), ხელშეკრულება ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან (28.09.2022, შეთანხმება: 04.04.2023) მემორანდუმი ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოსთან (26.06.2019), ხელშეკრულება ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოსთან (18.04.2023)
4. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხელმძღვანელობითი ფუნქციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. სტუდენტების და მასწავლებლების გამოკითხვის კითხვარები და გამოკითხვის შედეგები;
6. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივლისის #1/22ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/03, 13.01.2023წ.) დამტკიცებული სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
7. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (შესყიდვის დოკუმენტები, მიღება-ჩაბარების აქტები);
8. მასწავლებლების სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
9. ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია; პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდ. სასწავლო გეგმა;
10. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის #1/42 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/101 15.11.2022წ.) დამტკიცებული სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი;
11. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
12. პროგრამის ბიუჯეტი;
13. განმახორციელებლებთან, პარტნიორ კომპანიებთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

14. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

19.04.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------